



სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლ ა კ ა დ ა“

საგანმანათლებლო პროგრამების

კ ა ტ ა ლ ო გ ი



ჯვარი

2019

## დაწესებულების მისია

პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვით უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული განათლების მაღალი დონის მიღწევას რეგიონის და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის. კოლეჯი ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებასა და დასაქმებაზე.

## ისტორია

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული განათლების ერთერთი მნიშვნელოვანი კერაა სამეგრელოს რეგიონში. მას გააჩნია არსებობის მრავალწლიანი ისტორია.

სსიპ პროფესიული კოლეჯის „ლაკადა“ სამართალმემკვიდრეა

1. 162-ე პროფტექნიკური სასწავლებელი. 1983 წ. წალენჯიხა, სოფელ ფოცხოეწერი
2. 162-ე პროფტექნიკური სასწავლებელი. 1992 წ. წალენჯიხა, ქ. ჯვარი, ყაზბეგის 2
3. მრავალდარგოვან სახელმწიფო კოლეჯი. 1993 წ. წალენჯიხა, ქ. ჯვარი, ყაზბეგის 2
4. ჯვარის პროფესიული სწავლების ცენტი. 2007 წ. წალენჯიხა, ქ. ჯვარი, ყაზბეგის 2
5. სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“. 2011 წ. წალენჯიხა, ქ. ჯვარი, ყაზბეგის 2

კოლეჯი „ლაკადა“ დღეს განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საჭირო ინვენტარით აღჭურვილი აგრძობს წარმატებულ საქმიანობას, რაც რეგიონის პროფესიული განვითარების მყარი გარანტიაა.

კოლეჯი ამ ეტაპზე ანხორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: ინჟინერიის, ჯანდაცვის, სამშენებლო და ხელოვნების მიმართულებებით.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაცივმა შესაბამისი საფეხურის დიპლომი.

კოლეჯი დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე:

ქ.ჯვარი, ყაზბეგის #2

ელ. ფოსტა: [ssipjvari@gmail.com](mailto:ssipjvari@gmail.com)

ვებ-გვერდი: [lakada.edu.ge](http://lakada.edu.ge)



## პროფესიული საგანათლებლო პროგრამები

1. ელექტრობა
2. ექთნის თანაშემწე
3. ინფორმაციის ტექნოლოგია
4. ზეინკალ-სანტექნიკოსი
5. ფილამწყობი
6. სამკერვალო წარმოება

### ს ი ა ხ ლ ე !

კოლეჯი წელს პირველად ანხორციელებს სამკერვალო წარმოების საბაზო მოდულური პროგრამას.

კოლეჯს გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; სწავლების ხარისხს უზრუნველყოფენ კვალიფიციური, პრაქტიკული გამოცდილების მქონე მასწავლებლები.

პროგრამა	პროგრამის მოცულობა	სწავლის ხანგრძლივობა	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ელექტროობა	52 კრ.	1წელი	საბაზო დანათლება	საბაზო განათლების პროპროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში

**პროგრამის მიზანი**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექტროობაში.



**მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები:**

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

1. გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება;
2. გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები;
3. დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში;
4. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
5. გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები;
6. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
7. შექმნას და წარადგინოს პროექტი.

### დასაქმების შესაძლებლობები:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში პირი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრული აპარატურის მომსახურე პირად: დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს:

- ელექტრიკოსი
- ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟე
- შენობის ელექტრიკოსი
- მომმარაგებელ-ელექტრიკოსი
- ელექტრო-მექანიკოსი
- ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟე
- განათების სისტემების მემონტაჟე
- ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟე
- დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟე
- ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟე
- ასფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟე
- მზის ენერჯის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟე

### სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და



## სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლ ა კ ა დ ა“

კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში ფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით.

პროგრამა	პროგრამის მოცულობა	სწავლის ხანგრძლივობა	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ექთნის თანაშემწე	71	13 თვე	საბაზო განათლება	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

### პროგრამის მიზანი

ექთნის თანაშემწე არის სამედიცინო პერსონალი, რომელიც მუშაობს ექიმის/ექთნის მეთვალყურეობის ქვეშ, ფლობს მოსავლელი პირის/პაციენტის მოვლის ზოგად უნარებს და ზრუნავს როგორც პრაქტიკულად ჯანმრთელ (მელოგინე, ჩვილ და მცირეწლოვან), ისე ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებებისა თუ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და ტერმინალურ პაციენტებზე, ინდივიდუალური (ასაკობრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური) სპეციფიკის გათვალისწინებით.



ექთნის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს ექთნის თანაშემწისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს ექთნის თანაშემწის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

### სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- მოსავლელი პირის/პაციენტის/მორიგეობის მიღება-გადაბარება
- პაციენტის მოვლის უზრუნველყოფა
- ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა
- უსაფრთხო და კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა პაციენტისა და საკუთარი თავისთვის
- კომპეტენცის ფარგლებში კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან
- პირად პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ დაწესებულებებსა და სოციალურ გარემოში:

- სტაციონარი
- რეაბილიტაციის ცენტრები
- შინმშენი
- პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა და მოხუცთა სახლები)
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (ბაგა-ბაღი)
- თანმხლები პირი(მეზავრობა-მოგზაურობისას)

**სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
6. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.



პროგრამა	პროგრამის მოცულობა	სწავლის ხანგრძლივობა	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ინფორმაციის ტექნოლოგია	60 კრ.	1 წ.	საბაზო განათლება	საბაზო განათლების პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში

### პროგრამის მიზანია

ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.



### სწავლის შედეგები:

ინფორმაციის ტექნოლოგიის კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:

- ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
- დაამოტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
- დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
- დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
- განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
- გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP, OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
- გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელის გამართვა;
- შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;

- მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

### სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის

გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს

სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში ფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

პროგრამა	კრედიტი	სწავლის ხანგრძლივობა	პროგრამის მიზანი	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ზეინკლ-სანტექნიკოსი	85	18თვე	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ზეინკლ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

### პროგრამის მიზანია

მოამზადოს სრულყოფილი კვალიფიკაციის სპეციალისტი, რომელიც ხანძარსაწინააღმდეგო, შრომისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით დამოუკიდებლად შეძლებს დაამონტაჟოს: შენობის შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები, სანტექნიკური მოწყობილობები და სხვადასხვა სახის თბომომარაგების სისტემები, ასევე აწარმოოს შენობის სანტექნიკური სისტემების შემოწმება, გაუმართაობების გამოვლენა და აღმოფხვრა.



### სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია

- სანტექნიკურ-საზეინკლო ოპერაციების შესრულება
- სამშენებლო ნახაზების კითხვა და სამშენებლო სანტექნიკური სქემების შედგენა
- შენობის შიდა წყალმომარაგება
- შენობის შიდაწყალარინება
- თბომომარაგება

### კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სარემონტო-სამშენებლო კომპანიებში, სამრეწველო ობიექტებზე, ინდივიდუალურ მშენებლობებსა და მუნიციპალურ სისტემების მომსახურების სფეროში, ან/და გახდეს ინდივიდუალური მეწარმე.

### სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

**სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:**

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროგრამა	პროგრამის მოცულობა	სწავლის ხანგრძლივობა	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ფილამწეობი	80	16 თვე	საბაზო განათლება	ფილამწეობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

### პროგრამის მიზანია

მისცეს პირს შესაძლებლობა დაეუფლოს ფილამწეობის სპეციალობისათვის საჭირო ცოდნას, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და კომპეტენციები. შეძლოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.



### სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია

- გარემოს ორგანიზება სამუშაოების საწარმოებლად
- კედლის და იატაკის ზედაპირების მომზადება ფილებით მოსაპირკეთებლად
- ფილის დამუშავება
- ზედაპირის მოპირკეთება ფილებით და მოზაიკით

### კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სამშენებლო კომპანიაში, ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციაში, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა ზედაპირების ფილებით მოპირკეთებას. შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული.

### სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროგრამა	პროგრამის მოცულობა	სწავლის ხანგრძლივობა	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
სამკერვალო წარმოება	99	თვე	საბაზო განათლება	საბაზო განათლების პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო ნაწარმოებაში

### მიზანი

პროგრამის მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სამკერვალო წარმოებისათვის უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტის აღზრდას. სპეციალისტი შეძლებს, ქალის, მამაკაცის, ბავშვის ტანსაცმლის და სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირებას, მოდელირებას და მასალაში შესრულებას, ასევე, ქართული ეროვნული სამოსის მასალაში შესრულებას და დეკორატიულ გაფორმებას, ტანსაცმლის შეკეთებას, გადაკეთებას და აღდგენას, საკერავი მანქანებისა და თბურ-დანამვითი დანადგარების შერჩევა/გამოყენებას და სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლს.



### მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის სწავლის შედეგები

#### პირს შეუძლია:

1. უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო ადგილის ორგანიზება
2. შექმნას სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის კომპოზიცია
3. შეარჩოს სამკერვალო ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალები, დაამზადოს ჩანახაზი და გამოჭრას ქსოვილი
4. გამოიყენოს ტანსაცმლის დამზადებისათვის საჭირო სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო მანქანები და თბურ-დანამვითი დამუშავების მოწყობილობები
5. დაამუშაოს ტექნოლოგიურად ტანსაცმლის დეტალები და ძირითადი კვანძები
6. გაიანგარიშოს საწყისი მონაცემები ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული დაგეგმარებისათვის
7. განახორციელოს ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული დაგეგმარება და მოდელირება
8. გააფორმოს დეკორატიულად ქართული ეროვნული სამოსი
9. შეასრულოს მასალაში ქართული ეროვნული სამოსი

10. შეასრულოს მასალაში ქალის ტანსაცმელი
11. შეასრულოს მასალაში მამაკაცის ტანსაცმელი
12. შეასრულოს მასალაში ბავშვის ტანსაცმელი
13. შეასრულოს მასალაში სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმი
14. გადააკეთოს ტანსაცმელი
15. აღადგინოს ტანსაცმლის დაზიანებული უბნები.

### სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში ფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ავტორიზირებული საგანმანათლებლო დაწესებულების პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი პროფესიულ სავალდებულო და არჩევითი მოდულის კრედიტები.